

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქიტექტურისა და
ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“



2017 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

მონაწილეთა ელექტრონული რეგისტრაციისა და ნაშრომების წარმოდგენის ბოლო ვადაა 16 მაისი 17-00 სთ.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური, რუსული.

კრებულში გამოსაქვეყნებელი სტატიები უნდა გაფორმდეს შემდეგი წესების მიხედვით:

1. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ უნდა იყოს თანამედროვე საკითხები, კვლევის მეთოდები და მიღებული შედეგების ანალიზი. ნაშრომის სათაური სრულად უნდა ასახავდეს მის შინაარსს.
2. ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 გვერდს, ნაბეჭდი 1,5 ინტერვალით (ქართული ტექსტი Sylfaen, რუსული და ინგლისური Times New Roman-12 შრიფტით), გვერდის შემდეგი პარამეტრების დაცვით 25 მმ ოთხივე მხრიდან;
3. ნაშრომში რეკომენდებულია გამოყენებული იყოს შემდეგი ქვესათაურები: შესავალი, პრობლემის აქტუალობა, კვლევითი კომპონენტის აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიღებული შედეგები, დასკვნები და წინადადებები და გამოყენებული ლიტერატურის სია;

ნაშრომი უნდა იყოს გაფორმებული შემდეგი თანმიმდევრობით:

- ნაშრომის სათაური (Sylfaen – 14 შრიფტით); ავტორის (ავტორების) გვარი და სახელი; სამუშაო ადგილის დასახელება, სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობა, E-mail და ტელეფონის ნომერი.
- საკვანძო სიტყვები (5 – 6 სიტყვა);
- ძირითადი ტექსტი (Sylfaen – 12 შრიფტით);
- გამოყენებული ლიტერატურის სია ბიბლიოგრაფიით: ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის დასახელება, ჟურნალის დასახელება, ნომერი, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდები; წიგნების ციტირებისას - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი და წელი, გვერდების რაოდენობა. (ტექსტში ციტირება უნდა მოხდეს სიაში ნაშრომის ნომრის ფრჩილებში მითითებით).
- რეზიუმე 5-6 სტრიქონი, (დაახლოებით 100 სიტყვა), ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე;
- ცხრილები, ნახაზები და ფოტოები წარმოდგენილ უნდა იყოს: ნუმერაციით, წარწერით და სქოლიოთი;

აუცილებელი მოთხოვნები:

1. სტატიის გამოქვეყნების, შრომათა კრებულის და მომსახურების ფიქსირებულ ღირებულებას მთლიანად თავის თავზე იღებს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.
2. რედკოლეგია უფლებას იტოვებს არ განიხილოს არასწორად გაფორმებული მასალები.
3. კონფერენციის ჩატარების ადგილია ქ. თბილისი, გუდიაშვილის ქ. №7; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა;

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მიმართოთ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს.

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. №77, I C ბლოკი, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

ნინო იმნაძე

E-mail: imnadzenino@gmail.com

03-05-2017